

შპს „სოფმარ 2020“

ს/კ 415107379

ქ.თბილი,თავისუფალი ინდ.ზონა,

(ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური

განვითარების ზონა)

შიდა № 1-7G/007

№ 7/2020

19.10.2020წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქ-5 ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,


თქვენს მიერ გამოგზავნილ N 9570/01 08/10/2020 წერილში თქვენ სწორად აღნიშნავთ, რომ „სკრინინგის განხადების თანახმად ობიექტის ექსპლუოტაციის ეტაზზე, ნაყარი ტვიტთის დატვირთვა- გადმოტვირთვის, დახარისხება/არევის ტექნოლოგიური ეტაპებისა და ნაყარის სახით შენახვის დროს, ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია მხოლოდ მტვრის არაორგანიზებული გაფრქვევა“. ამ ციტატის შემდეგ მოყვანილი ფრაზა: „თუმცა არ არის დახასიათებული ობიექტიდან გაფრქვეული სხვა მავნე ნივთიერების შემადგენლობა, რომელთა გაფრქვევასაც, ასევე, შესაძლოა ადგილი ქონდეს სპილენძის, თუთის და ძევირფასი ლითონების კონცენტრატებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისას“ არის უსაფუძვლო, რადგანაც ფიზიკურად შეუძლებელია ასეთი „მავნე ნივთიერებების არსებობა“ იმიტომ რომ ყველა ქიმიური ელემენტი რომელიც შეადგენს ნივთიერებას- კონცენტრატს მოყვანილია ცხრილის სახით თქვენთვის 21 სექტემბერს გადმოგზავნილ განმარტებით წერილში და ამ ელემენტებისგან შემდგარი ნივთიერების გარდა სხვა ნივთიერებასთან ჩვენ არ ვაპირებთ მუშაობას. ამ წერილში ასევე არის მოყვანილი არევის პროცესის განმარტებაც.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს: ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მოთხოვნილი შენიშვნების ნაწილი: „არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიური ოპერაციების ... დეტალური დახასიათება და შესაბამისად. არ არის შეფასებული აონიმული ოპერაციებითან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა. ამასთან, არ არის წარმოდგენილი ექსპლუოტაციის შედეგად. ატმოსერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები და სათანადოდ არ არის შეფასებული ატმოფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები“ სამართლებლივად აღემატება სკრინინგის ეტაპზე არსებულ მოთხოვნებს.

რაც შეეხაბა შემოტანილი ტვირთის დანამვას. მოყახსენებთ, რომ კონცენტრატის ბუნებრივი ტენიანობის ცვლილება არ უნდა ცდებოდეს ტვირთის მფლობელების მიერ განსაზღვრულ ფარგლებს, რადგანაც ტვირთის გადაზიდვის დროს წონის 1%-თ ცვლილებაც ახდენს ტვირთის გადაზიდვის ფაზზე გაფლენას.



შესაბამისად, ტვირთის დანამვის ოპერაცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის ზედაპირის ტენიანობა ჩამოვა დაშვებულ ზღვარს ქვემოთ, რაც ძნელად წარმოსადგენია კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული ზონის ტერიტორიაზე გადახურულ სივრცეში განლაგებულ ნაყარ ტვირთთან მიმართებაში.



აქვე მოგვყავს ერთ-ერთი ნახაზი ამ სასაწყობე მეურნეობის წინასწარი პროექტიდან, რომელიც შედგენილია საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით კომპანია „AZCATEC Techologia Eingeneria“-ს მიერ „Trafigura Pte. Ltd.“-ს დაკვეთით „სოფმარი 2020“-თვის და რომელზეც მოყვანილია დახურულ სივრცეში მოქცეული სასაწყობე მეურნეობა.

შპს „სოფმარ 2020“-ის დირექტორი

ვახტანგ ალანია

